89 წელი თქვენთან ერთად!

89 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს გამოვიდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედის, გაზეთ „ჩხარის კოლმეურნის“ პირველი ნომერი.

გამოცემის საიუბილეო, 90-ე წელი!

„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“

ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

საზოგადოებრივი გაზეთი • გამოდის 1933 წლიდან • №14 (7067) 15 ივლისი 2022 წელი• Facebook გაზეთი თერჯოლა

პროგრამა „განახლებული რეგიონები“...

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქალაქ თერჯოლის რუსთაველის ქუჩაზე, სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე აქტიურ ფაზაშია საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით დაწყებული ახალი სახელმწიფო პროგრამა „განახლებული რეგიონები“-ს ფარგლებში რეკრეაციული სივრცის მოწყობის სამუშაოები.

მიმდინარე სამუშაოები, ამ დღეებში მუნიციპალიტეტის მერმა, ლაშა გოგიაშვილმა მოადგილესთან, მანუჩარ რობაქიძესთან და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსთან, გოდერძი თურქაძესთან ერთად ადგილზე დაათვალიერა, კომპანიის ნარმომადგენლისგან დეტალური ინფორმაცია მიიღო და დამატებითი საჭიროებების შესახებ ესაუბრა.

„პროგრამა „განახლებული რეგიონების“ ფარგლებში წარმატებით ხორციელდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების რეაბილიტაცია, ასევე სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე რეკრეაციული ზონის მოწყობის სამუშაოები. პროექტის ფარგლებში ბავშვთა გასართობი სივრცე და სპორტული ინფრასტრუქტურა მოეწყობა. ამ ეტაპზე შეირჩა ის არეალები, რომელთა ნაწილიც ურბანულ განახლებას საჭიროებდა. აღნიშნული პროექტი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს თერჯოლის განვითარებას“—განაცხადა მუნიციპალიტეტის მერმა.

სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „დაგი“ ანხორციელებს. სამუშაოები უახლოეს მომავალში დასრულდება.

პროექტები ფინანსდება როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ისე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მხარდაჭერით.

საერთაშორისო ფესტივალი „თეატრალური იმერეთი 2022“ დასრულდა ნომინაციებში გამარჯვებულებიც გამოვლინდა...

☞3

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

☞2

„ცოცხალი წიგნები“

თერჯოლის საჯარო ბიბლიოთეკაში...

☞6

საცხოვრებელი სახლები ამჯერად ცხრა ოჯახისათვის შენდება!

თერჯოლის მუნიციპალიტეტში უკვე დაიწყო საცხოვრებელი სახლების მშენებლობა სოციალურად შეჭირვებული ცხრა ოჯახისათვის.

მუნიციპალიტეტის მერი, ლაშა გოგიაშვილი, მოადგილეებთან, მანუჩარ რობაქიძესთან და მირზა ქოჩიაშვილთან ერთად, სოფელ სკანდესა და ღვანკითში სახლების მშენებლობასთან დაკავშირებით მიმდინარე პროცესებს გაეცნო, მშენებლებს ვადებისა და ხარისხის დაცვის შესახებ ესაუბრა.☞2

სასკოლო ცხოვრება, რომ უფრო აქტიური და ნაყოფიერი იყოს...

დირექტორთა და მასწავლებელთა რაიონული კონფერენციაზე

ორწლიანი პანდემიური მდგომარეობის შემდეგ, მალევე შევიდა აქტიურ ფაზაში მუნიციპალიტეტის სასკოლო ცხოვრება სასწავლო-საალმზრდელო პროცესის ყველა კომპონენტით...

2022 წლის 28 ივნისს, კი დირექტორთა და მასწავლებელთა რაიონული კონფერენცია გაიმართა. იმ დღეს თერჯოლის №2 საჯარო მასპინძელ სკოლაში, ნაადრევად შეიკრიბნენ პედაგოგები, ისინი ვერ მალავდნენ ერთმანეთის ნახვით გამოწვეულ სიხარულს, მადლიერებას გამოხატავდნენ საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიმართ — ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში სკოლების დირექტორთა და მასწავლებელთა რაიონული კონფერენციის ორგანიზებისთვის.

პედაგოგები, მოწვეული თითქმის ყველა სკოლიდან, ერთმანეთს აზრს უზიარებდნენ, საინტერესო საკითხებზე საუბრობდნენ, მსჯელობდნენ. „ვეფხისტყაოსნის“ კვირეულის დღეები გაიხსენეს, მისი მაღალი დონე და რესურსცენტრის ხელმძღვანელი ქალბატონი ქეთევანი, რომელმაც ძლივს გახსნა ღონისძება, რადგან კულტურის სახლის დარბაზმა მოწვეული და „გაუთვალისწინებელი“ ხალხი ვერ დაიტია, „გასასვლელი მაინც გავანთავისუფლოთ, მონაწილენი გამოვატაროთო“ — მორიდებით მიმართა მაშინ მან დასწრების მსურველთ, რომლებიც ყველგან იდგნენ, სადაც დადგომა შეიძლებოდა.

☞4,5

ნინი წივწივაძე გოგონათა შორის ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე პირველი თერჯოლელია!

წარმატებები!!!

☞8

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

საცხოვრებელი სახლები ამჯერად 1-ცხრა ოჯახისათვის შენდება!

„სოციალური მიმართულებით, ოჯახების გაძლიერების მიზნით, თერჯოლაში არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. მოქმედი „სახლდაზიანების" პროგრამის ფარგლებში მიმდინარე წელს ცხრა ახალი სახლის მშენებლობა დასრულდება. პროგრამა ითვალისწინებს იმ სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის მცირე ფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობას ან შეძენას, რომელთა საცხოვრებელი სახლები დაზიანების მასშტაბის გამო ექვემდებარება დემონტაჟს. ჩვენ ვიზრუნებთ სახლდაზიანების პროგრამა სამომავლოდ კიდევ უფრო მასშტაბური გავხადოთ, შესაბამისად, მეტი სოციალურად დაუცველი, ოჯახი იზეიმებს ახალმოსახლეობას ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით"—განაცხადა ლაშა გოგიაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით ადგილობრივ ბიუჯეტში სახლდაზიანების პროგრამის ეფექტური მუშაობისთვის გამოყოფილი თანხა გაიზარდა, რომლის ფარგლებში მიმდინარე წელს ნაცვლად ხუთი სახლისა, ცხრა საცხოვრებელი სახლი აშენდება.

მძიმე საყოფაცხოვრებო პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის საკითხი შესაბამისმა კომისიამ შეისწავლა და გადაწყვეტილება დეტალური განხილვის შედეგად მიიღო.

სამშენებლო სამუშაოებს ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით, ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „იდეა-მშენი" ახორციელებს.

ხელმძღვანელ პირებთან ერთად, სამუშაო შეხვედრაზე, ზედა საზანოსა და თუზის მაფორიტარი დეპუტატი, დავით გოგბერაშვილი, ასევე ღვანკითისა და რუფოთის მაჟორიტარი დეპუტატი, შალვა ჭანკვეტაძე იმყოფებოდნენ.

გოგნი-ტყიბულის დამაკავშირებელ გზაზე...

ამ მეტად მნიშვნელოვანი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები გასულ კვირაში ორჯერ გახდა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის ადგილზე ჩასვლით გაკეთებული მონიტორინგის ობიექტი.

ამ მიზნით, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა, ლაშა გოგიაშ-

ვილმა, სოფელ გოგნში, სადაც გზის სამშენებლო სამუშაოები მერის წარმომადგენელთან, დავით რობაქიძესთან ერთად ადგილზე დაათვალიერა, დეტალურად გაეცნო პროექტის მიმდინარეობას და სამუშაოების ხარისხსა და ვადების დაცვის მდგომარეობას.

იმ დროისათვის მიმდინარეობდა მოსამზადებელი ეტაპი, არმირებული ბეტონის საფარის მოსაწყობად.

რამდენიმე დღის შემდეგ, სოფელ გოგნში, ტყიბულთან დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები ასევე დაათვალიერეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ბარათაშვილმა, მერის მოადგილემ, მანუჩარ რობაქიძემ და საკრებულოს წევრებმა. ისინი დაწვრილებით ესაუბრნენ მშენებელი კომპანიის წარმომადგენლებს.

იმ დროისათვის უკვე მიმდინარეობდა არმირებული ბეტონის საფარის მოწყობა, რომელიც უახლოეს პერიოდში დასრულდება.

გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს რგფ-დან ადგილობრივი ბი-

უჯეტის დაფინანსებით ტენდერში გამარჯვებული კომპანია „უნივერსალ ჯორჯია" ახორციელებს.

რუბრიკით: „ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან", ტრადიციულად გთავაზობთ წერილებს, რომლებიც მომზადებულია საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაციების საფუძველზე.

სტიქია, ინფრასტრუქტურული პროექტები...

ეს თემები თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერთან ივლისის თვის პირველი სამუშაო თათბირის მთავარი მიმართულებები იყო. თათბირს მუნიციპალიტეტის მერი, ლაშა გოგიაშვილი უძღვებოდა.

შეხვედრას მერის მოადგილეები, მანუჩარ რობაქიძე და მირზა ქოჩიაშვილი, მერიის სამსახურებისა და განყოფილებების უფროსები, ასევე ა(ა)ი-ების ხელმძღვანელები და მერის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მუნიციპალიტეტის მერმა, ლაშა გოგიაშვილმა წარმომადგენლებიდან დეტალური ინფორმაცია მიიღო სტიქიის შედეგად სოფლებში არსებულ მდგომარეობაზე და საჭიროებებზე.

უხვად მოსულმა ნალექებმა გარკვეული პრობლემები შექმნა ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში. დაზიანდა შიდა საუბნო გზები და სოფლებთან დამაკავშირებელი ხიდები, სანიაღვრე არხები და საყრდენი კედლები. მუნიციპალიტეტის მერის დავალებით ოპერატიულად მოხდა შესაბამისი ტექნიკის მობილიზება და ამ ეტაპზე მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები, რომლებიც მალე უნდა დასრულდეს.

სამუშაო შეხვედრაზე, ხელმძღვანელმა პირებმა სფეროების მიხედვით, დაგეგმილი ღონისძიებებისა და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ მოისმინეს ინფორმაციები.

როგორც ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა, გოდერძი თურქაძემ აღნიშნა;

—აქტიურად მიმდინარეობს ქალაქ თერჯოლაში, პრემიერ-მინისტრის ინიცირებული პროგრამის—„განახლებული რეგიონების" ფარგლებში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ამ დროისთვის, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაციის პარალელურად, სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე რეკრეაციული ზონისა და სპორტული სივრცის მოწყობის სამუშაოები ტარდება.

—დაიწყო სოფელ გოგნში ტაძრამდე მისასვლელი გზის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები.

—აქტიურ ფაზაშია ქალაქ თერჯოლაში მე-3 ბაღის მშენებლობის სამუშაოები.

—დასკვნით ეტაპზეა სოფელ ზედა საზანოს საბავშვო ბაღის მშენებლობა.

სამუშაო შეხვედრაზე, ინფორმაციების მოსმენისა და შეჯამების შემდეგ, მერმა, თითოეული სამსახურისა და ა(ა)ი-ის ხელმძღვანელს, მომავალი კვირის განმავლობაში სფეროების მიხედვით, შესრულებული სამუშაოს ანგარიშის წარდგენა დაავალა.

ამინდის ჭირვეულობამ მეურნეებს საქმე გაურთულა

ივნის-ივლისის უხვნალექიანმა ამინდებმა მნიშვნელოვნად დააზიანა სასოფლო-სამეურნეო კულტურები, ბევრი ავი საქმეც დაატრიალა ქვეყნის მასშტაბით ღვარცოფად მოსულმა ნალექებმა და ქარ-ბორბალამ...

რ. მაკარიძე, ქ. თერჯოლა: როცა სასოფლო კულტურებისათვის არახელსაყრელი ამინდებია, მეურნე კაცს განმავნებელი დაავადებები. ბევრგან დაიჭრაქა ვენახები, თუთუნივით დაფშვნა კარგა გვარიანად დახოშრილი მტევნები, სარეველებმა გადაუარეს ნათესებს...

როგორც ჩანს, ეს პრობლემა ყოველ დროში იყო და სწორედ ამინდის კაპრიზებმა ათქმევინა ცნობილ აგრონომს, აკადემიკოს ივანე მიჩურინს: „ჩვენ არ უნდა ველოდოთ მოწყალებას ბუნებისაგან, ჩვენ უნდა ნავართვათ მას იგი". მეც პირადად ცდას არ ვაკლებ, როგორც ყურძნის ისე სიმინდის მოსავალი მრავალტონიანი მივიღო. რა თქმა უნდა, საამისოდ გაორმაგებული შრომა მჭირდება.

ა. დიაკონიძე, სოფ. ზედა ალისუბანი. კარგად უთქვამთ ჩვენს ძველებს—გვალვა კაცს არ დაამშვენებს. ხომ საშინელი გვალვა იყო შარშან, ციდან წვიმის წვეთი არ გადმოვარდნილა, კარგი მოვლით მაინც მშვენიერი მოსავალი მოვიყვანე. წელს კი გართულდა საქმე, „ჩოხადამპალამ" სახელი გაამართლა და ისეთი ნალექიანი თვე გამოდგა მეურნე კაცი არ შეუშვა ფართობებში კულტურების მოსაველელად. მიწას ობი გაუჩნდა. საბოლოოდ, ივლისი რას იზამს არ ვიცით. ღმერთმა ნუ ქნას, რომ ისიც ასე უხვნალექიანი გამოდგეს და მეორეც, ძლიერი ქარები არ დაიჭიროს, თორემ იმდენი წყალი აიღო სიმინდმა და ისე აიყარა ტანი, რომ ერთიანად ჩააწვენს.

უნაირო ამინდს ნინ ვინ დაუდგება, ერთი სათხოვარი მაქვს მხოლოდ—გამკაცრდეს კონტროლი საეჭრო ქსელში გამოტანილ სასუქებსა და შხამ-ქიმიკატებზე, განსაკუთრებულად სარეველა ბალახების შესანამლ პრეპარატებზე, რომ უხარისხობის გამო მეურნე კაცი არ დაღალატდეს და წყალში არ ჩაეყაროს მათ შესასყიდად გადახდილი თანხა.

იმედია, თერჯოლელი მეურნეები დაძლევენ უამიდობით გამონვეულ სირთულეებს და მოსავალსაც კარგს მოიწევენ.

ი. მარუაშვილი

საერთაშორისო ფესტივალი „თეატრალური იმერეთი 2022“ დასრულდა ნომინაციებში გამარჯვებულებიც გამოვლინდა...

„დიდი, განუზომლად დიდია თეატრის მნიშვნელობა ყოველი ერის ცხოვრებაში. თეატრის კულტურა—უმაღლესი კულტურაა ხალხისა. იგი მასთან ერთად ჰყვავის, ფრთებს ისხამს, იღუპება ერის დაცემასთან ერთად“... თითქმის ერთნახევარი საუკუნის წინ, გენიალური ქართველი შემოქმედის, რეჟისორის, მსახიობისა და მოაზროვნის, სანდრო ახმეტელის მიერ ნათქვამი ეს სიტყვები, მარადიული შეხსენებაა იმისა, რომ განუსაზღვრელად დიდია ხელოვნების ამ უმშვენიერესი დარგის მნიშვნელობა ერის ცხოვრებაში.

სწორედ ამ მიზანს ემსახურება საერთაშორისო „თეატრალური ფესტივალი იმერეთი 2022“, რომელიც წელს მეცამეტედ გაიმართა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, საქართველოს თეატრალური საზოგადოების, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის, იმერეთის რეგიონალური მუნიციპალიტეტებისა და ქალაქ ქუთაისის მერიის მხარდაჭერითა და ორგანიზებით.

ფესტივალი წელს განსხვავებული ფორმატით ჩატარდა. რიგმა თეატრალურმა კოლექტივმა სპექტაკლი ადგილზე, თავიანთ მუნიციპალიტეტში არსებულ სათანადო ბაზის შემთხვევაში საკუთარ თეატრში გამართა. მიზანი კი ამისა, როგორც იმერეთის სახელმწიფო რწმუნებულმა ზვიად შალამბერიძემ აღნიშნა იყო მუნიციპალიტეტებში თეატრალური ცხოვრების გაცოცხლება და მისი პოპულარიზაცია. ფესტივალის ჟიურიც ადგილებზე ესწრებოდა და აფასებდა მუნიციპალიტეტებში გამართულ სპექტაკლებს, რაც საბოლოოდ ფესტივალის დახურვისას იქნა გაცხადებული.

ფესტივალის ფარგლებში სულ 17 სპექტაკლი გაიმართა მოქმედი პროფესიული თუ სახალხო თეატრების მიერ. სხვადასხვა მუნიციპალიტეტსა და მესხიშვილის თეატრში ჩატარებული სხვადასხვა ჟანრის და შინაარსის სპექტაკლის ნახვის საშუალება 16 ივნისიდან 1 ივლისის ჩათვლით ჰქონდა მაყურებლებს...

„თეატრალური იმერეთის“ ყოველწლიური მონაწილეა თერჯოლის სახალხო თეატრი საინტერესო სპექტაკლებით, შესრულების მაღალი დონით, პროფესიონალიზმით... ეს სიტყვები ფესტივალის ორგანიზატორს, ლევან როხვაძეს ეკუთვნის, რომელსაც არაერთხელ წარმოუთქვამს სამადლობელი თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის, სახელოვნებო განათლების, კულტურის და ტიურიზმის ცენტრის, კულტურის სახლისა და შემოქმედებითი კოლექტივის მიმართ გასულ წლებში ფესტივალში მაღალი დონის სპექტაკლებით მონაწილეობისათვის...

საერთაშორისო ფესტივალზე „თეატრალური იმერეთი-2022“ თერჯოლის კულტურის სახლის სახალხო თეატრი მაყურებელთა და ჟიურის წინაშე წასრდგა ბრიტანელი დრამატურგის დენის კელის პიესის „ობლების“ პრემიერით— 28 ივნისს, ქუთაისის მესხიშვილის თეატრში, ხოლო 30 ივნისს თერჯოლის კულტურის სახლში, თერჯოლელ მაყურებელთა წინაშე.

სპექტაკლის რეჟისორია და მუსიკალური გაფორმება ასევე ეკუთვნის **მამუკა ცერცვაძეს,** ისევე როგორც წლევანდლამდე დადგმული ყველა საფესტივალი სპექტაკლი, მხატვარი—**თემურ აბულაძე,** რეჟისორის თანაშემწე—**ირინა ბუცხრიკიძე,** რადისტი **გიორგი ქანკვეტაძე,** ოპერატორი **ნუკრი ზამბახიძე,** კულტურის სახლის დირექტორი—**ლია ბუსკივაძე.**

როლებს ასრულებდნენ: **ლაიმი—დიმა არეშიძე, დენი—ზურაბ ობოლაძე, ჰელენი—ნანუკა ისიანი.**

მძაფრსიუჟეტიანი პიესა გულგრილს ვერ დატოვებს მაყურებელს, მაღალი ემოციური ფონი გასდევს მთელ სპექტაკლს...

ცოლ-ქმარი ჰელენი და დენი ვახშმობას აპირებენ, რა დროსაც აჩქარებული ნაბიჯით, სისხლში ამოსვრილი მაისურით და არეული საუბრით შემოდის ჰელენის ძმა—ლაიმი რომლისგანაც იგებენ, რომ გზაში ახალგაზრდას ეჩხუბა და ეს მისი სისხლია... ვახშამი ჩაიშალა, ირკვევა, რომ ეს პირველი შემთხვევა არ არის, რომ იგი სხვა დროსაც იყო პოლიციისგან დანაშაულში ეჭვმიტანილი, თუმცა ჰელენის დახმარებით აიცილა სასჯელი... მთელი სპექტაკლის განმავლობაში და-ძმა ცდილობს ამჯერადაც დააღწიოს თავი მართლმსაჯულებას. დენი დაჭრილის ბედზე წუხს, თუმცა ცოლი არ აძლევს მას უფლებას ნავიდეს, მოინახულოს, საავადმყოფოში წაიყვანოს და პოლიციას შეატყობინოს... ოჯახისა და მუცლადმყოფი ბავშვის შენარჩუნებას ეწირება მისი ეს სურვილი, უფრო მეტიც... იძულებულია ნავიდეს, დააშინოს დაჭრილი, თითქმის სასიკვდილოდ განწირული, რომ მომხდარზე არავისთან არ ისაუბროს...

ამაღელვებელია ფინალიც...

პიესაში ლაიმი, რომელმაც სინამდვილეში არა ახალგაზრდა, არამედ ხანშიშესულია, საუკეთესო პიროვნება სასიკვდილოდ გაიმეტა, ხშირად იყენებს ჟარგონებსა და იდიომატურ გამონათქვამებს, პიესის ავტორი ამით ხაზს უსვამს მისი პიროვნების ცუდ, უხეშ მხარეს, ალზრდის პრობლემებს და გაუმართლებელ დანაშაულს...

მსახიობებმა შესანიშნავად გაართვეს თავი თავიანთ როლებს, ეს არის რიტმის მაღალი გრძნობით, მუსიკალურობით გამსჭვალული სპექტაკლი, რომელიც ამძაფრებს განწყობას და მობილიზებას უკეთებს ყურადღებას;

მოქმედება და პერსონაჟთა მეტყველება გაჯერებულია სასოწარკვეთით, სევდით და პათოსით...

შთამბეჭდავია სცენა, დეკორაციები, მოძრაობები, აქტიორთა შემოსვლა და გასვლა სცენიდან და ა.შ. ერთი სიტყვით მაყურებელმა ნახა რეჟისორის და აქტიორთა პროფესიონალის რანგში აყვანილი ნამუშევარი...

დადგა 1 ივლისი, როცა ფესტივალის ჟიურიმ „თეატრალური იმერეთი—2022“-ის დახურვა და შედეგები უნდა გამოაცხადოს...

ამ დღეს დიდი ინტერესით ელოდებოდა ფესტივალის მონაწილე კოლექტივები.

მესხიშვილის თეატრში შეიკრიბა ყველა მუნიციპალიტეტის თეატრალური კოლექტივი და მათი გულშემატკივრები.

ფესტივალის ორგანიზატორები, ქალაქ ქუთაისის მერიისა და სამხარეო ადმინისტრაციის ხელმძღვანელები, ფესტივალის ჟიური.

ფესტივალის საზეიმო დახურვას იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ლევან კიკნაველიძე იმერეთის მუნიციპალიტეტების მერებთან ერთად დაესწრო.

საერთაშორისო ფესტივალის „თეატრალური იმერეთი 2022“ გრანპრის მფლობელი ტყიბულის მუნიციპალიტეტის თეატრი გახდა. „ქალაქი“ ამ სახელწოდებით ერთმოქმედებიანი პიესა, გურამ დოჩანაშვილის შემოქმედების მიხედვით ახალგაზრდა რეჟისორმა, ქეთევან სამხარაძემ დადგა.

ქუთაისის, ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიულ დრამატულ თეატრში გამართულ ლონისძიებაზე სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულები კი ასე დასახელდნენ:

ნომინაცია - საუკეთესო სპექტაკლი - „ქალაქი“ , რეჟისორი ქეთევან სამხარაძე (ტყიბულის მუნიციპალური თეატრი);

ნომინაცია - საუკეთესო სარეჟისორო ნამუშევარი—მოქალაქეობრივი პოზიციის საუკეთესოდ წარმოჩენისათვის - აფხაზური ჩანახატები - რეჟისორი პეტრე ჩარგეიშვილი (ხონის თეატრი)

ნომინაცია - საუკეთესო სარეჟისორო ნამუშევარი - ლაშა ლომჯარია, სპექტაკლისთვის „ანტიგონე“ (ვანის კარლო საკანდელიძის სახელობის სახალხო თეატრი);

ნომინაცია - საუკეთესო სცენოგრაფია - გიორგი მეტონიძე, „ნატვრის ხე“ (საჩხერის პაოლო იაშვილის სახელობის სახალხო თეატრი)

ნომინაცია - საუკეთესო მუსიკალური გაფორმება - მამუკა ცერცვაძე „ობლები“ (თერჯოლის სახალხო თეატრი)

ნომინაცია - საუკეთესო მსახიობი ქალი - ლორიტა ჯორჯიკია - სასტუმრო ორი სამყაროს გასაყარზე, (სამტრედიის ეროსო მანჯგალაძის სახელობის თეატრი)

ნომინაცია - საუკეთესო მსახიობი ქალი - ირინე ჩხეიძე - მაცეკვე ტანგო, ხარაგაულის ოთარ აბაშიძის სახალხო თეატრი

ნომინაცია - საუკეთესო მსახიობი მამაკაცი - დემურ საღარეიშვილი - აფხაზური ჩანახატები, ხონის სახალხო თეატრი

ნომინაცია - საუკეთესო მსახიობი მამაკაცი - რადი შენგელია - სასტუმრო ორი სამყაროს გასაყარზე, (სამტრედიის ეროსო მანჯგალაძის სახელობის თეატრი)

საუკეთესო ახალგაზრდა მამაკაცი მსახიობი - გუდუნა სახამბერიძე (ბალდათის სახალხო თეატრი)

საუკეთესო ახალგაზრდა მსახიობი ქალი - თეონა ლომსიანიძე - (ბალდათის სახალხო თეატრი)

ნომინაცია - საუკეთესო ეპიზოდური ქალის როლი - ეთერ დევაძე, სოფლის აშიკი, ბალდადის სახალხო თეატრი

საუკეთესო ეპიზოდური მამაკაცის როლი - მიხო ჭელიშვილი „ნაცარქექია“ (წყალტუბოს ოტია იოსელიანის სახელობის სახალხო თეატრი)

საუკეთესო ეპიზოდური მამაკაცის როლი - ნიკოლოზ მაჭავარიანი მამის როლის შესრულებისთვის ნინო მირზიაშვილის „მაცეკვე ტანგო“, ხარაგაულის ოთარ აბაშიძის სახალხო თეატრი

ნომინაცია - ფესტივალის აღმოჩენა - ნინო ჭახნაკია - სასტუმრო ორი სამყაროს გასაყარზე - (სამტრედიის ეროსი მანჯგალაძის სახელობის თეატრი)

წელს, ფესტივალზე, რეგიონის თეატრალური დასების მიერ ნარმოდგენილ განსხვავებული ჟანრისა და შინაარსის სპექტაკლებთან ერთად მაყურებელმა ნახა ყაზახეთის თეატრისა და თბილისის ახალგაზრდული თეატრის წარმოდგენები.

წინ ახალი ფესტივალებია... თერჯოლა ყოველთვის ომახიანად ამბობდა სათქმელს, ასე იქნება მომავალშიც...

მზია ცქიფურიშვილი

სასკოლო ცხოვრება, რომ უფრო აქტიური და ნაყოფიერი იყოს...

1

დირექტორთა და მასწავლებელთა რაიონული კონფერენციაზე

№2 საჯარო სკოლის განახლებულ გარემოში, სადაც სკოლების დირექტორთა და მასწავლებელთა კონფერენცია ჩატარდა, წარმოდგენელი იყო მოსწავლეების მიერ მიერ შესრულებული მრავალი სანტერესო რესურსი, რომლებშიც ჩანდა მისივე დანიშნულება, რატომ და რისთვის შეიქმნა იგი. ნა-

მუშევრებს ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობის კვალი ეტყობოდა, მასში ჩადებული იყო ნიჭი, უნარი, შესაძლებლობა. კონფერენციის დაწყებამდე, მოწვეულ სტუმრებს და მონაწილე პედაგოგებს თავიანთი შემოქმედება

უჩვენეს თერჯოლის №2 და სიქთარვის საჯარო სკოლების (დირექტორები რუსუდან უსუფაშვილი, ია კვატია) ფოლკლორული სიმღერის ჯგუფებმა (ხელმძღვანელები: ინეზა ბუცხრიკიძე, ნანა ყვავაძე).

•••

სკოლის დირექტორთა და მასწავლებელთა რაიონული კონფერენცია გახსნა საგამანათებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა ქეთევან შეყრილაძემ, მან მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერს, ლაშა გოგიაშვილს, საკრებულოს თავმჯდომარეს, გია ბარათაშვილს ღონისძიებაზე მობრძანებისთვის და ყველა მონანილის სახელით მხარდაჭერისთვის, ასევე სხვა მოწვეულ სტუმრებს, მამა ქრისტეფორეს, პედაგოგებს, მონანილეებს.

კონფერენცია მომზადდა საგანმანათლებლო რესურსცენტრის ორგანიზებით და ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განვითარების კორდინატორის ქალბატონ სოფიო გაგოშიძის ჩართულობით, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტთან თანამშრომლობით ეროონული სასწავლო გეგმის ფარგლებში.

ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესი სხვადასხვა მიმართულებას მოიცავს, კერძოდ: სადიაგნოსტიკო შეფასება, პედაგოგიური პრაქტიკის შესწავლა (რეფლექსური დიალოგი), ზაფხულში დაგეგმილი ფორუმისთვის (კონფერენციისთვის) მომზადება, სასკოლო სასწავლო გეგმის დანართის მომზადება 2022-2023 სასწავლო წლისთვის, სამზადისი საშუალო საფეხურისთვის.

დაგეგმილი აქტივობები ითვალისწინებს 2022-2023 სასწავლო წლიდან ყველა სკოლის ჩართვას ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში, სკოლების ავტორიზაციის პროცესისთვის მზადებას, მოსწავლეთა შეფასების ცენტრალიზებული სისტემის ჩამოყალიბებას, საშუალო საფეხურებზე ეროვნული სასწალო გეგმის დანერგვას. კონფერენციის მიზანი იყო განხორციელებული კომპლექსური დავალებების ჩვენება — მოსწავლეთა ნაშრომების ანალიზი.

კონფერენციაზე სხვადასხვა სექციებში, წარმოდგენილი იყო თექვსმეტი მომხსენებელი.

ნათია აბულაძე (სოფელ ქვ. სიმონეთის №1 საჯარო სკოლა) პროექტებზე დაფუძვნებული სწავლება, ვერიკო ქურცაძე (ძევრის საჯარო სკოლა) პროექტებზე დაფუძვნებული სწავლება, მზია მაკარიძე (თერჯოლის №2 საჯარო სკოლა) პროექტებზე დაფუძნებული სწავლება, მაკა ყიფშიძე (თერჯოლის №2 საჯარო სკოლა) მათემატიკა, მადონა ჭანტურიძე (ზედა საზანოს საჯარო სკოლა) მათემატიკა, ნანა ბანძელაზე (ჩხარის №1 საჯარო სკოლა) ბუნებისმეტყველება (ინკლუზური განათლება), ხათუნა გურული (თერჯოლის №1 საჯარო სკოლა) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მაია ცერცვაძე (ქვედა სიმონეთის №1 საჯარო სკოლა) ისტორია, მანუჩარ ფანჩულიძე (ძევრის საჯარო სკოლა), დარეჯან მემანიშვილი (თერჯოლის №2 საჯარო სკოლა) მოქალაქეობა, მარუსა ბერუაშვილი (ძევრის საჯარო სკოლა) დაწყებითი კლასები, ნინო გოგიაშვილ (ღვანკითის საჯარო სკოლა) დაწყებითი კლასები, ცირა მურჯიკნელი (ღვანკითის საჯარო სკოლა) დაწყებითი კლასები, ზოია ბუცხრიკიძე (თერჯოლის №2 საჯარო სკოლა) დაწყებითი კლასები, ნატო კვეტენაძე (თერჯოლის №1 საჯარო სკოლა) ქარული ენა და ლიტერატურა, ასმათ ჩიტორელიძე (თერჯოლის №1 საჯარო სკოლა) ქართული ენა და ლიტერატურა.

საკონფერენციო თემებზე მუშაობის პროცესში, პედაგოგებთან ერთად, აქტიურად იყვენენ ჩართულნი საგნის ექსპერტ-ქოუჩები: ირმა შალიკიანი, ეკატერინე ჭელიძე, მაკა ყიფშიძე, სოფიკო სიუკაევა, ელისო მანკეპლაძე, მინდია მაცაბერიძე, ნანა გიორგობიანი, ჯულიეტა კაპანაძე, ხათუნა დუგლაძე, ნათია ბრეგაძე, მარიამ კუჭუხიძე, რომლებიც კონსულტაციას უწევდნენ პედაგოგთა საქმიანობებს. კონფერენციაზე პედაგოგებმა წარმოადგინეს იმის ანალიზი, თუ რამდენად შეუწყო ხელი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესმა, კონკრეტულ მოსწავლეებს სასწავლო პროცესში ჩართულობასა და სასწავლო შედეგების გაუმჯობესებაში. სკოლის ლიდერებმა გააანალიზეს თუ როგორ შეუწყო ხელი სასკოლო პროექტებმა სასკოლო კულტურის განვითარებას. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ექსპერტებმა კი გააანალიზეს ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეები.

კონფერენციის დასასრულს შეჯამდა მუშაობა, სიტყვებით გამოვიდნენ ექსპერტები, რომლებმაც მაღალი შეფასება მისცეს კონფერენციას, წარმოდგენილ თემებს, მოსწავლეთა მიერ მოძიებულ რესურსებს და მომზადების ორგანიზაციას.

ქალბატონმა ქეთევანმა კონფერენციის მონაწილე მასწავლებლებს და ექსპერტებს სამახსოვრო სიგელები გადასცა.

მამა ქრისტეფორემ დალოცა კონფერენციის ყველა მონაწილე, წარმატებები უსურვა მათ მომავალ მუშაობაში.

ᲫᲣᲫᲣᲜᲐ ᲪᲮᲐᲓᲐᲫᲔ

„მათემატიკის მეფე“

დიდხანს ვფიქრობდი რა მეთქვა მასწავლებელზე, რომელსაც მისმა ერთ-ერთმა მოსწავლემ, ბაქარ კირკიტაძემ, „მათემატიკის მეფე“ უწოდა. ახლა მას სახელით იშვიათად მიმართავენ. „მათემატიკის მეფის“ გაკვეთილზე მოსწავლეები სულგანაბულნი არიან, არის სრული დასწრება და ყველა ხელს იწვავს. მასწავლებელი კმაყოფილია, რთული თემა ათვისებულია.

კერძო სკოლა „მზეკაბანის“ მათემატიკის მასწავლებელი ზურაბ კუპატაძე საგნის სნავლების მიზანს, არა მარტო ახლა, როცა დიდი გამოცდილება დააგროვა, არამედ იმ დღიდან აღნევს, როცა 1980 ნლის პირველ სექტემბერს პირველი გაკვეთილი ჩაატარა ლენტების რაიონის, სოფელ ჯველიერის საშუალო სკოლაში. 1983-87 ნლებში იგი ზესტაფონის რაიონის სოფელ ზოვრეთის, 1987-1992 ნლებში თავასისა და ძევრის საშუალო სკოლებში მუშაობდა.

დაძაბულ, შრომატევად, მაგრამ სასიამოვნო შრომაში გავიდა ორმოცდაორი წელი. ყოველთვის დიდი იყო ზურაბ მასნავლებლის აღმზრდელობითი ზემოქმედების ძალა და ავტორიტეტი. იგი არის არა მარტო საგნის კარგი მცოდნე, არამედ საინტერესო პიროვნება, რომელიც არასოდეს ჩამორჩენია დარგში, ზოგადად განათლების სისტემაში მომხდარ სიახლეს. მე შევხვდი ზურაბის მოსწავლეებს, ყველაზე პირუთვნელ შეფასებლებს, კოლეგებს, ისინი ზურაბს თვლიან ეფექტურ მასწვლებლად. ამბობენ, რომ ყველა მისი მოსწავლე მათემატიკაში აგროვებს იმ ცოდნას, რაც საკმარისია ეროვნული გამოცდების ჩასაბარებლად, მათემატიკის ამ განსაკუთრბული და დამოუკიდებელი დარგის შესაცნობად.

ზურაბ კუპატაძის სახასიათო მაჩვენებლები

... **მომთმენი** — ელოდება, რათა მოსწავლემ მსჯელობისას შეძლოს თვითონ გამოიტანოს დასკვნები, **თავმდაბალია** — იგი გრძნობს, რომ საგანში დაგროვილი ცოდნა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თვითონ იცის. ღრმად სნამს, რომ საუკეთესო თვისებები მოსნავლეს გადაეცემა არა მარტო ყოველდღიური ჭკვის სნავლებით, არამედ ყოველდღიური მოქმედების საშუალებით, რომ ადამიანი სწავლას აგრძელებს მთელი ცხოვრება, რომ უმნიშვნელოვანესი მოელენები უნდა შეისწავლოს მონიფული აზროვნების ხანაში. მას შეუძლია უპასუხოს ყველა შეკითხვას, რაც მათემატიკას უკავშირდება, მაგრამ საუბარი უფრო იქეთკენ მიჰყავს, რომ პასუხამდე მოსწავლე მიიყვანოს...

ზედა საზანოს საჯარო სკოლის წარჩინებით დამთავრების პირველსავე წელს ჩაირიცხა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტშიფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, თავიდანვე ზუსტი წარმოდგენა ჰქონდა პროფესიის თავისებურებაზე, იმ პირობებზე, რომელშიც მოუწევდა შემდგომი მოღვაწეობა. ხელმძღვანელობდა ერთად-ერთი მოტივით — ჰყვარებოდა ბავშვები, ცოდნა გადაეცა მათთვის,

5

4

„მათემატიკის მეფე“

საზოგადოებისთვის გაეწია მნიშვნელოვანი სამსახური, არასოდეს მოუმართავს ყვირილის, დამცირების, გაღიზიანების, როგორც დასჯის საშუალებისათვის, არასოდეს უთქვამს მოწავლეებისათვის — მეტს შენგან არ მოველოდი, შენგან არაფერი გამოვა, რადგან იცის, რომ სწორედ ასეთ დროს ეკარგება მოზარდს სტიმული, ხელს იღებს სწავლაზე, გულთბილი, მზრუნველი დამოკიდებულება კი დაანახებს მოსწავლეს, რომ იგი არ დგას სათანადო სიმაღლეზე, დააფიქრებს მუშაობის უკმარისობაზე, ირწმუნებს რომ მეტი გარჯაა საჭირო...

როგორც ყველას, მასაც, თავის დროზე უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი — დიპლომი მიეცა, მაგრამ არ არსებობდა არანაირი გამოცდა პროფესიული ვარგისიანობის თაობაზე, ახლა გაზრდილია მოთხოვნები, შეიძლება მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობის ანალიზი, საუბარი, „პროფესიულ ვარგისიანობაზე“. „ბატონი ზურაბი თავისი საქმის მართლაც პროფესიონალია, გულისხმიერი, ერთგული, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით, პუნქტუალური და თავმდაბალი, მათემატიკის ცოდნასთან ერთად ეს თვისებები განაპირობებს მისი მოსწავლეების მაღალ შედეგს ეროვნულ გამოცდებსა და ოლიმპიადებში, აქვს სწავლების საოცარი მეთოდები, თვითონაც ბოლომდე იხარჯება, იმასვე ითხოვს მოსწავლეებისგან “— ამბობს კერძო სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერი აზა მეშანიშვილი.

მოსწავლეთა შეფასებები

ვახტანგ პატარიძე — კერძო სკოლა „მზეკაბანის“ X კლასის მოსწავლე.

მე არ მასწავლის ზურაბ მასწავლებელი, მაგრამ კარგად ვიცნობ, ვიცი, რომ მოსწონთ და უყვართ მოსწავლეებს. ამბობენ, რომ მისი გაკვეთილი, მიუხედავად საგნის სირთულისა, ყოველთვის გასაგებია, სამართლიანია და ვენდობითო. ერთი ნელიც და მისი მოსწავლე ვიქნები, კარგია რომ ვიცნობ, ვიცი, რომ საიმედო ხელიდან, ანუ ახლანდელი მასწავლებლებიდან, საიმედო ხელში გადავალ... მაქვს ერთგვარი მოლოდინი, ვნახოთ როგორი იქნება ზურაბ მასწავლებელი უშუალოდ გაკვეთილზე, ახლოდან...

დიმა ჩუბინიძე — კერძო სკოლა „მზეკაბანი 2007-ის“ წლევანდელი კურსდამთავრებული.

„ზურაბ კუპატაძე სამი ნელი მასწავლიდა მათემატიკას და ამ მოკლე პერიოდში ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. მცოდნე და განათლებული, ფლობს, როგორც თავის საგანს, ასევე სხვა საგნებს, რომ მოსწავლეებს მიაწოდოს მათთვის საჭირო, როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი ინფორმაცია. ყურადღებიანი, ობიექტური, სამართლიანი, ბავშვთა ფსიქოლოგიის მცოდნე, მონესრიგებული, შრომისმოყვარე, ნოვატორი, ტოლერანტი მასწავლებელი, ყველასთვის სასურველი და მისაბაძი. სწორედ ასეთი მასწავლებელი გახლავთ ბატონი ზურაბი. ჩემი გამოცდილებით შემიძლია ავხსნა მისი სწავლების ეფექტურობის მთავარი მიზეზი. ის მოსწავლეებს ასწავლის არამარტო მათემატიკას, არამედ მის სიყვარულს, არამარტო ამოცანისა და განტოლების ამოხსნას, არამედ ფიქრს... ის არ გაძლევს უფლებას, რომ მოდუნდე და დაძლეული სირთულეებით დაკმაყოფილდე, არამედ გიბიძგებს ახალი სიმაღლეების დასაპყრობად და ამ ღირსებებს ავვირგვინებს, მისი იუმორის გრძნობა, რომელთაც ყოველთვის ახერხებს ჩვენი დაძაბული ტვინების განტვირთვას“.

ჯარჯი ჯამალაშვილი — კერძო სკოლა „მზეკაბანი 2007-ის“ წლევანდელი კურსდამთავრებული.

„ზურაბ კუპატაძე 2 ნელზე მეტია მასწავლის, ეს ორი ნელი კი შესანიშნავი და ძალზე პროდუქტიული იყო, როგორც პედაგოგი იგი ძალიან შრომისმოყვარეა და გასაგებად მომთხოვნი, ასევე შეყვარებულია თავის საქმეზე და ცდილობს სხვებსაც შეაყვაროს მისი საგანი. მას არ უჭირს მოსწავლეებთან კონტაქტი და ძალიან ნათლად ხსნის ნებისმიერ საკითხს. იგი ასევე განსწავლულია მათემატიკის გარდა სხვა საკითხებში. იგი შესანიშნავია როგორც პიროვნება. მისი საუცხოო იუმორის გრძნობა, ყოველთვის ღიმილით ავსებს კლასს და სწავლის პროცესსაც საბალისოს ხდის, ასევე ძალიან უყვარს თავისი მოსწავლეები და ზრუნავს მათზე კლასში და მის გარეთაც, ყოველთვის აძლევს ბავშვებს ცხოვრებისეულ დარიგებებსა და კარგ რჩევებს.

***

ბატონ ზურაბს ჰყავს მეუღლე გულო ტვილდიანი, იურისტი. ქალიშვილი მარიამი და ერთი შვილიშვილი დანიელ კოპალიანი. სკოლა, ოჯახი, საშუშაო, მოსწავლეები — ზურაბისთვის ყველაფერია... ყველაფერი—დღეევანდელი დღეც და მომავალიც...

ფიზიკოზრდის და სპორტის ქალი მასწავლებლები

2010-2011 სასწავლო წლიდან საქართველოს სკოლებში ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები მე-10 – მე-12 კლასებში სპორტის გაკვეთილებით შეიცვალა. მე-8 — მე-9 კლასებში კი ფიზიკურ აღზრდის გაკვეთილები დარჩა. განათლების სისტემაში განხორციელებულმა ამ რეფორმამ სკოლებს საშუალება მისცა აერჩიათ სპორტის სახეობები, იმის მიხედვით, რა სპორტული ბაზები ჰქონდათ, რა ინტერესები მოსწავლეებს.

რეფორმის შემდეგ ათ წელზე მეტი გავიდა. ახლა შეიძლება შედეგებზე საუბარი.

ბაზგასასმელია. რომ მუნიციპალიტეტის სკოლებში ფიზკულტურასა და სპორტს მხოლოდ სამი ქალი პედაგოგი ასწავლის. ამჯერად მათგან ლალი დიაკონიძეს გაგაცნობთ.

ლალი დიაკონიძე ფიზკულტურასა და სპორტს ალისუბნის №2 საჯარო სკოლაში (დირექტორი ლალა კუპატაძე) ასწავლის. იგი უფროსი მასწავლებელია. ლალი აქტიურ, სპორტულ ცხოვრებას ეწეოდა ქუთაისის 35-ე საჯარო სკოლაში სწავლისას, პარალელურად გაერთიანებული იყო ტანვარჯიშულ სპორტსკოლის „სპორტულ აკრობატიკაში“, არის რამდენიმე ტურნირის პრიზიორი, საქართველოს ჩემპიონი. მინიჭებული აქვს სპორტის უმაღლესი თანრიგი „სპორტის ოსტატობა“. სკოლის დამთავრების შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება არ შეწყვიტა სპორტული საქმიანობა და ჩააბარა ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში, ფიზ-აღზრდის სპეციალობაზე. სწავლასთან ერთად აგრძელებდა სპორტულ ცხოვრებას და მუშაობა დაიწყო ქუთაისის ტანვარჯიშულ სპორტულ სკოლაში—მწვრთნელ-მასწავლებლად, აღზარდა რამდენიმე კარგი სპორტსმენი.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1998 წლიდან ლალი თერჯოლაში ცხოვრობს, ბედი ალისუბნელ რამინ სახელაშვილს დაუკავშირა, ერთი შვილი ჰყავს. მუშაობა დაიწყო თერჯოლის სპორტულ სკოლაში, პარალელურად ზედა ალისუბნის №2 საჯარო სკოლაში სპორტის მასწავლებლად. მუშაობის დაწყება იყო გარანტი, წარმატებით განხორციელებულიყო ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით—ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სწავლების მიზნები და ამოცანები. „სპორტმა საზოგადოების ცხოვრებაში დიდი ადგილი დაიკავა და თავისი მრავალმხრივი მნიშვნელობით საზოგადოებრივ მოვლენად იქცა. მას ბევრი ფუნქცია აკისრია: ჯანმრთელობის განმტკიცება, სიცოცხლისათვის აუცილებელი მოძრაობითი უნარ-ჩვევების ფორმირება და სრულყოფა, პიროვნული თვისებების აღზრდა, დამოუკიდებელი მეცადინეობისათვის მყარი ინტერესებისა და ჩვევების ფორმირება და სხვა. ამასთან სპორტი მაგნე ჩვევების აღმოფხვრის ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა, ამდენად საჯარო სკოლაში ახალი საგანი—სპორტის დანერგვა ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციას, მათ ჩართულობას სპორტულ აქტივობებში, განსაკუთრებული ნიჭის მქონე მოსწავლეებს გამოავლენს და მათ დროულ ჩართვას სპორტულ ცხოვრებაში—ამბობს ლალი და თეორიულ ცოდნას კარგად უთავსებს საქმეს.

***

სკოლას აქვს დარბაზი, ახალი სტადიონი, ლალის თქმით—დარბაზი მოითხოვს შეკეთებას, მაგრამ მუშაობა შეიძლება. აქვთ გარკვეული სახის სპორტული ინვენტარი: ბურთები, ტანვარჯიშული ლეიბები, ბანდბინტონი, მაგიდის ჩოგბურთი, შაში, ჭადრაკი. სკოლაში ხშირად ტარდება შიგა სასკოლო შეჯიბრებები ფრენბურთში, ფეხბურთში, კალათბურთში, გეზრბენში, მაგიდის ჩოგბურთში, შაშში, ჭადრაკში, მრავალჯერ მიუღიათ მონაწილეობა რაიონულ თუ რესპუბლიკურ ღონისძიებებში, ჰქონიათ ნარმატებები, მაგრამ მეტის სურვილი აქვთ—ეროვნული კატეგორიის მსაჯს, „B კატეგორიის მწვრთნელს და უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე მასწავლებელს, დიახაც უნდა ჰქონდეს მეტის სურვილი. კითხვაზე—რას აკეთებენ გოგონები, როცა ბიჭები ფეხბურთს თამაშობენ, ლალი ამბობს, რომ მსურველ გოგონებს „მეკარეთ“ აყენებს, ზოგი ეხმარება და არის ერთგვარი ინტერესი გოგონებისთვისაც. მიაჩნია, რომ მძლეოსნობა და ტანვარჯიში ხელმისაწვდომია, როგორც დარბაზიან, ისე უდარბაზო სკოლებში, რომ სპორტის ამ სახეობას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. ლალი ამბობს, რომ სპორტულმა რეფორმამ გაამართლა, იგი კარგად დაარეგისტრირა ეროვ ნულმა სასწავლო გეგმამ— გეგმით გათვალისწინებულ სპორტის მიზნებმა და ამოცა ნებმა—ფიზიკოზრდაც ისწავლე ბა და სპორტიც, მოსწავლეებ სხვადასხვა კლასებში ორივეს ეზიარნენ, რაც მნიშვნელოვა ნია, თუმცა ამბობს იმასაც, რომ კარგი იყო ე.წ. მშთ ნორმატივე ბი, ისიც, რომ მოსწავლეები მე ოთხედის ბოლოს ფასდებოდნენ ნიშნით, რაც მოსწავლეებისა და მასწავლებლისათვის მოტივა ცია იყო.

***

არა მარტო რაიონის მაგა ლითზე, არამედ ქვეყნის მას შტაბითაც სკოლებში მასწავლე ბელთა საერთო რაოდენობის უმეტესობას ქალები შეადგენენ მამაკაცები „უმცირესობაში“ არიან, მაგრამ ფიზკულტურისა და სპორტის ქალი მასწავლებე ლი, იშვიათობაა, უფრო ცოტა უმაღლესი სპეციალური განათ ლებით, რაიონში ფიზკულტური სა და სპორტის, სულ სამი ქალ მასწავლებელია—ერთი ლალ დიაკონიძეა, ორ მათგანზე მომა ვალში ვისაუბრებთ.

ლალი დიაკონიძე სპორტთან დაკავშირებულ საკითხებთან ერთად ხშირად ესაუბრება მოს წავლეებს სიკეთეზე, ზნეობაზე ამაღლებულზე, სამართლიანო ბაზე, ყველაფერზე, რაც ეროვ ნულია, ტრადიციულია, პატრი ოტულია, უყვარს თქმა—რაც უფრო ბევრი გულშემატკივა რი და ერთგული მამულიშვილ პყავს ქვეყანას, ეს ბედნიერებაა ქვეყნისა...

გვერდის ავტორ

ᲛᲣᲨᲣᲜᲐ ᲪᲮᲐᲓᲐᲫ

„ცოცხალი წიგნები“

თერჯოლის საჯარო ბიბლიოთეკაში...

კულტურული ცხოვრებისა და შეიძლება ითქვას, განათლების ერთ-ერთ ცენტრს, თერჯოლის საჯარო ბიბლიოთეკას თავის უმთავრეს დანიშნულებასთან ერთად არაერთი ლამაზი და საინტერესო შეხვედრებისა თუ აქტივობების მოწყობის ტრადიცია გააჩნია. აქ მოწვეული სტუმრები, მკითხველები და სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები მშვიდ, სიყვარულით გამთბარ გარემოში იღებენ სულიერ საზრდოს, დროებით იავიწყებენ თავიანთ საზრუნავსა და ცხოვრებისეულ პრობლემებს და ამაღლებული განწყობითა და მადლიერებით ემშვიდობებიან მასპინძლებს...

ასე იყო ამჯერადაც...

23 ივნისს საჯარო ბიბლიოთეკამ თერჯოლელ შემოქმედ ადამიანთა ერთ ჯგუფს უმასპინძლა. „ცოცხალ წიგნებთან“ შეხვედრაზე კი ლიტერატურის, პოეზიისა და პროზის მოყვარულთა გარკვეული რაოდენობა მოიწვია, ბუნებრივია, რამდენის დატევაც შეეძლო სამკითხველო დარბაზს.

სტუმრებს მიესალმა ბიბლიოთეკის დირექტორი ლალი ცქიფურიშვილი, მან მადლობა გადაუხადა თითოეულს სტუმრობისათვის, შემოქმედებისათვის და ღონისძებაში მონაწილეობისათვის, შემდეგ კი თითოეული მათგანი წარადგინა შეკრებილთა წინაშე: გერმანე საზანოელი — ა/ო „საზოგადოება პოეზიელის“ დამფუძნებელი და ხელმძღანელი, პროექტის „ლექსის აკვანის“ ავტორი და რედაქტორი ამავე სახელწოდების პოეტური ტომეულებისა, გაზეთ „სახალხო განათლების“ რეგიონალური დეპარტამენტის უფროსი, საქართველოს პოეტების საერთაშორისო ასოციაციის თავმჯდომარე იმერეთში, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო მრავალპროფილიანი აკადემიის წევრი, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი.

გონერი მოსელიძე: ღვანკითის საჯარო სკოლის პედაგოგი, არაერთი ლიტერატურულ კონკურსშიგამარჯვებული და პრემიის მფლობელი, რამდენიმე ლექსთა კრებულის ავტორი.

ნუგზარ კობერიძე, ღვანკითის საჯარო სკოლის პედაგოგი, საქართველოს პოეტების საერთაშორისო ასოციაციის წევრი და ხელმძღვანელი თერჯოლის მუნიციპალიტეტში, 2015 წელს გამოცემული ლექსების კრებულის „ჩემი ინტეგრალები“-ს ავტორი.

მარეხი მემანიშვილი — თერჯოლის №2 საჯარო სკოლის პედაგოგი, პროზაიკოსი, მოთხრობების კრებულის „დამიხატე მზე“-ს ავტორი.

ქეთევან შეყრილაძე — თერჯოლის მუნიციპალიტეტის განათლების რესურსცენტრის დირექტორი.

შორენა ბოჭორიშვილი — ანაპა სახელოვნებო განათლების კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალური ცენტრის დირექტორის მოადგილე.

შეხვედრას შემოუერთდნენ აგრეთვე, ახალგაზრდა პოეტები ქვედა სიმონეთიდან: დავით სულამანიძე და რამაზ ჩხიკვაძე, რომლთა ლექსები, როგორც გერმანე საზანოელმა აღნიშნა, დაიბეჭდა პოეტურ ტომეულებში „ლექსის აკვანი“...

თითოეულმა საინტერესოდ ისაუბრა თავიანთ შემოქმედებაზე, იმაზე თუ როგორ დაიწერა მათი პირველი ლექსი... ითქვა რომ უმეტესობას ლექსების თუ მოთხრობის წერას სიყვარული აწყებინებს.. თუმცა მათ შორის ქალბატონებს, ქეთევნსა და მარეხს შემოქმედებითი მუზა მოგვიანებით ენვიათ და კარგადაც დაუმეგობრდნენ...

შემდეგ იყო ლექსების კითხვა და მონონებისა და მადლიერების აპლოტისმენტები...

და გაცხადება იმისა, რომ საქართველო ნარმოუდგენელია ულექსოდ და უპოეტოდ... ძნელად მოიპოვება საქართველოში ალბათ ადამიანი ერთი ლექსი მაინც რომ არ დაეწეროს, ან თუნდაც სხვისი დაწერილი არ წაეკითხოს, ესწავლოს და გაეთავისოს... დიახ, ქართველი იყო არის და იქნება პოეზიის შემოქმედი, მისი მოტრფიალე და თაყვანისმცემელი...

ეს იმ დღემაც დაადასტურა, — როცა ლექსების სიყვარულში გაერთიანდნენ პოეტებიც და მსმენელებიც...

შემდეგ ითქვა იმაზე, რომ ასეთი შეხვედრები საჭიროა და რომ გულსა და სულს უთბობს ადამიანებს...

„ძალიან ვისიამოვნე, ნავედი პოეზიაში, ზოგს ვიცნობდი, როგორც პოეტს, ზოგიერთი კი ალმოჩენაა ჩემი, მადლობა თითოეულს და მადლობა მასპინძლებს, საჯარო ბიბლიოთეკას, ამ საინტერესო ხალხთან შეხვედრის შესაძლებლობისათვის და მათი შემოქმედების გაცნობისათვის“ აღნიშნა, ქალაქ თერჯოლის მაფორიტარმა დეპუტატმა, №1 საჯარო სკოლის დირექტორმა, ელისო მურადაშვილმა...

ბიბლიოთეკის დირექციას მადლობა გადაუხადეს აგრეთვე შორენა ბოჭორიშვილმა, ნაირა ნიკოლაძემ და სხვებმა.

ლალი ცქიფურიშვილმა მონვეულ პოეტებს ამ დღის სამახსოროდ საჩუქრად წიგნები გადასცა...

მზია ცქიფურიშვილი

აქვე გთავაზობთ ლექსებს: გერმანე საზანოელის, ნუგზარ კობერიძის და გონერი მოსელიძის კრებულებიდან. ასევე დავით სულამანიძისა და რამაზ ჩხიკვაძის შემოქმედებიდან.

* * *

რაც შეეხება შეხვედრის ერთ-ერთი მონაწილის ქეთევან შეყრილაძის შემოქმედებას, როგორც თავად აღნიშნა, ჯერ არც წიგნი აქვს და არც მცდელობა ამისა, მაგრამ აქვს მოთხოვნილება წეროს. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ იგი ამ შეხვედრის ალმოჩენაა, როგორც საუკეთესო ლექსების ავტორი. ქეთევანის შემოქმედებას მომავალში აუცილებლად გავაცნობთ „თერჯოლას“ მკითხველებს.

ილია

სამშობლოს მთებზე სასწაული რამ აჩრდილია,
კავკასიონით ხომ არ გვმოძღვრავს ქართველთ ილია?
იქნებ დღეისთვის გონებითი თვალის მმოსავი
შუბლი გაიხსნა უგვირგვინო გვირგვინოსანის.
სხივმოსილია უკვდავებით ერისკაცობა,
სიკვდილი მარად პირობითი არის საზღვარი,
მაგრამ არაგვთან რა ისეთი იყო გასროლა,
რომ უკვდავებამ უკვდავებას დასცა თავზარი.
თურმე უეცრად დარღვეული პირობითობა
ცაში მზის ადგილს თვით ილიას წილად ითხოვდა,
ხოლო სირცხვილი მით უარეს გვაქვესკნელებდა,
თვალწინ გვიქციეს ერისმოძღვრის სისხლი მკვლელებმა.
არასდროს გვაკლდა, შინ თუ გარეთ, სისხლის მპარავი,
ილიასთანა არ მოუკლავთ ჩვენში არავინ,
თვითონ სიკვდილიც ღვთაებრივი შუქით გაბრწყინდა,
იყო იმდენად დიდებული და შემზარავი.
ეხედავ, მამულო შენს თავანზე მძლე აჩრდილია,
სისხლდამდინარი გვმოძღვრავს ქართველთ დიდი ილია!

ზღაპარია

ქარი დაპქრის რა ხანია,
ქარი ჩემი ამქარია,
ამ ქარს ჩემი ოცნებები მიაქვს,
ეს ცა მკერდზე ამწყდარია,
ზედ მძივების ლამპარია,
თვალიც მიტომ დასდგომია წყვდიადს.
შეხე, ბიჭო, რა ქალია!
ცაში დაფრენს რა ხანია,
ქარით ფრინავს თუ თეთრ მანდილს მიაქვს,
კაცის გულის საპყარია,
მართლა თუ ფრენს—ზღაპარია
და ამ ზღაპარს სიყვარული ჰქვია!
აქ ახალი სავანეა,
აკვანს თლიან რა ხანია...
და ვინ უწყის, მერამდენედ თლიან,
აღვსილია სასწყაული ნუთისოფლის სასწაულით,
ამ სასწაულს დაბადებად თვლიან.
ტყუილი თუ მართალია,
მთაზე ერთი საყდარია,
საყდრის ირგვლივ კლდე ლოდებად ჰყრია,
აქ თუ მართლა საფლავია,
მაშ, სიკვდილიც ზღაპარია
და ამ ზღაპარს უკვდავება ჰქვია.

გონერი მოსელიძე

გნატრობ

თუ იტყვიან, ერთობა და რა სჭირს
სტრიქონს ალბად გადანერს და წავა,
ცხოვრებაში ახალ ბილიკს გაჭრის
შეეყრება შემდეგ კიდევ მავანს...
რა იციან, რომ ნატვრა ხარ ჩემი
შენი ერთი შეხედვაც კი მათბობს,
უკაცრიელ კუნძულივით გჩემობ
შენთან ვარ და ვერასოდეს დაგთმობ...
ზღვა გაკრავს და თოლიების წივილს
მოქცევისას, შენს სისავსეს მამცნობს,
თუმცა შენი მონატრების ტკივილს
მოუკლებლად დღე და ღამე ახსოვს.
არ დაეჭვდე, რომ ნატვრა ხარ ჩემი
და ყოველი პოზიტივის წყარო,
შენი გულის საიდუმლოდ ვრჩები
გულს, რომელსაც ვჭირდები და ვყვარობ...
თუ გინატრე მგონი თითქმის ასგზის
ჩემს სიტყვებში მოფერებას გაჩვევ,
თუმც ყველაფერს დროში ყავლი გასდის
მსურს ჩემს გვერდით სამუდამოდ დარჩე...

რამაზ ჩხიკვაძე

მშვიდობა საქართველოს

წინაპართაგან სისხლით ნაპოხ მიწაზე დავალ
თუ დასჭირდება ჩემს სამშობლოს პირველი გავალ...
იქ სადაც გმირ დეკეაცს სისხლი ულვრია
თავი გასწირა, შიშის ცრემლი არ დაულვრია.
იმერელი ვარ მტკიცა სამშობლო,
ხშირად ტკივილი ლოდად მანვია
და მეც იმ მიწას ვეთაყვანები,
სადაც გმირების ძვლები აწყვია!
ღვთისმშობლის წილხვედრ ქართულ ჯიშს და გენს,
გადაშენება არ უწერია,
გულით გვიყვარდეს ჩვენი სამშობლო,
ღმერთს ჩვენთვის გენში ჩაუწერია
ამ ფიანდაზად გადაშლილ ველებს,
ქვეყნად ბადალი არ გააჩნია,
სხივებად შეკრულ მთებს და გორაკებს,
სევდის ნისლები რამ დაამჩნია!
იმერულ მიწას ვადგამ ნაბიჯებს
ჩემი სამშობლოს მესმის ძახილი,
შორეულ ლანდად ჩამესმის თითქოს
სოლომონ მეფის გადმოძახილის...
გვახსოვდეს მუდამ ვინ ვართ რა გვინდა
ეს ისტორია გულში იდება
გმირებს ჰფენოდეთ მუდამ ნათელი
შენ საქართველოვ, მარად დიდება!

დავით სულამანიძე

ბალერინა

თან დამყვები ყველგან კარგო, შენით მსტუმრობს
დარდიც,
ერთი მთლიანობა გავხდით, გესმის? შემიყვარდი.
ყოფა ველარ დავიამე, მარცვალივით შენ მხდი,
ან რა თვალით დაგინახე, ან რა ფეხით შემხვდი.
სულ დავკარგე მოსვენება, ხეხილს ვგევარ ხნიერს,
უნდა ვთხოვო მომცეს ნება შენს ფიქრს გულისხმიერს.
თუ სიყვარულს ცრემლი უნდა, მიმახვედროს
ნიშნულს,
მოვაშოროთ ტკბილო ხუნდა, ჩემს გულს გამოთიშულს,
სულთან ახლო მოგიყვანე, მთებს ჰგონიათ შევცდი,
ემოციაც ალარა მაქვს, ემოციას შენ ცდი.
მეგონა დრო მიშველიდა, ვიძირები შენში,
და თუ ერთი არ გაკოცე უშენობა შემშლის.
მსურს მთვარესთან წაგიყვანო, უკვე ვეტრფი იმ ნამს,
და იქ შევქმნათ საყვარელო ჩვენი დედამინა!

გერმანე საზანოელი

ბალეტი

ბანდახან მუზა, რომ გამაღვიძებს,
აიჭრებიან ფიქრები ცაში,
გავინავარდებ ციურ ლაჟვარდში,
უკეთესს რაღას ვინატრებ მაშინ.
რა კარგი არის სამყაროს ცქერა
მაღალი გრძნობით, მაღალი სულით,
ქმაყოფილი ხარ, მომავალით და
ქმაყოფილი ხარ, თუნდაც წარსულით.
ამიტომ არის ალბათ სამყარო
უკიდეგანო და უსასრულო,
ყველას, რომ ეყოს სასუფეველად,
დაემკვიდროს და დაისადგუროს...
მთლად ზედა ფენას ყველა ვერ ნედება,
რადგან ცოდვები ქვევით ენევა,
მაღალი ღმერთი განაგებს ამას,
ცოდვილს დასჯის და სხვას შეეწევა.

ნუგზარ კობერიძე

გაგვახარეს ფეხბურთელებმა, რაგბისტებმა, კალათბურთელებმა, მოჭიდავეებმა, მოჭადრაკეებმა და არა მატრო მათ!

ჩვენთვის, თერჯოლელი სპორტის მოყვარულებისთვის, რა თქმა უნდა, საფეხბურთო თემა უპირველესია და რა თქმა უნდა, იგი ჩვენს „საპოვნელასაც" ეხება, თავის დროზე საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში, რომ იცავდა თერჯოლის სპორტულ ღირსებას...

დიახ, დიახ ეს ასე იყო!

მაგრამ...

მოგეხსენებათ, აღმართს დაღმართი მოსდევს!

ახლა იმაზე ჩაღრმავება, თუ, როდის, რა და რატომ მოხდა აზრს მოკლებულია...

მთავარია იმედი ცოცხლობს!

წინ უნდა ვიყუროთ, მომავალს ოპტიმისტის თვალებით ვუცქიროთ...

ამის საფუძველს, აგრე მონატრებული მაყურებლებით გადაჭედილი სტადიონები კი არ გვაძლევენ მხოლოდ, არამედ ჩვენი კალათბურთელების, რაგბისტების, მოჭიდავეების მიერ ბოლო ხანს მოპოვებული შთამბეჭდავი გამარჯვებები!

ეს ყველაფერი დიდი სტიმულია...

ახლა ჯერი ჩვენს ახალგაზრდა თაობაზეა!

☞ 8

დავემშვიდობოთ პანდემიას თუ არა?!

ქრისტეს მადლი იყო ალბათ (იდიდოს მისი სახელი), რომ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის დღეებში, ქვეყანაში, კორონავირუსის გავრცელება მინიმალურ ნიშნულზე დავიდა და იმ ცოტა დაინფიცირებულთაგან აღარავინ გარდაცვლილა. გაქრა ტელეეკრანებიდან გადაცემების დროს თანმდევი ტიტრები, რომლებიც ყოველ წუთში გვახსენებდნენ რამდენი დაინფიცირდა და მათგან რამდენი იმსხვერპლა ამ დიდმა ჭირმა. აღარ გეშინია ადამიანს ტელევიზორის ჩართვა, რომელიც ამჟამად კინოცაა, თეატრიცაა, ახალი ამბების მაცნე და კიდევ სხვა მრავალი სიკეთე. თავი სიზმარში გეგონია დღეები, რომ იმედიანად თენდება და არა შიშით და ძრნოლით.

ერთი უცხოელი მწერალი ასკვნიდა: იქნებ სხვა პლანეტებისათვის ჩვენი პლანეტაა ჯოჯოხეთი, ასე გაფაციცებით რომ გვაკვირდებიანო. არის ამ სიტყვებში სიმართლის ნატამალი, როცა ხედავ როგორ ებრძვიან და „ჭამენ" ადამიანები და სახელმწიფოები ერთმანეთს სხვა რა შეიძლება იფიქრო. ჯოჯოხეთი—აბა სხვა რა იყო მთელი პლანეტა ამ სამი წლის განმავლობაში, რაც პანდემია ბობოქრობდა. რა ჯოჯოხეთი უნდა შეედაროს იმას, როცა სახლში ან მეზობელთან მისულს კეთროვანივით გიყურებენ და შიშით იზაფრებიან... ხომ ყველამ გამოცადეთ ეს ჯოჯოხეთი ჩვენს თავზე. შედეგი? საშინელი შიში, რომელიც ყველას დიდხანს გაგვყვება—რამდენი დაავადებული, დასნეულებული ახლაც რომ აგრძელებს მკურნალობას, რამდენი მსხვერპლი...

საბედნიეროდ, მგონი ყველაფერი ნარსულში რჩება,—მთელი ის ტანჯვა-ვაება, რაც ადამიანებმა გადაიტანეს. გალიმებული სახეები მომრავლდა ირგვლივ...

სნორიც იყო, რომ მკაცრად ეკრიტიკებდით დაწესებული რეგულაციების დამრღვევთ, ახლა ხალხმრავალი ლხინებიც იმართება და ქელეხებიც (ეს უკანასკნელი უდროოდ ღმერთმა გვაცილოს) „განსხვავებულიც" მრავლად ისმება მაგიდაში და ე.წ. „ეახტანგურიც" ტუჩზე კოცნით. რაც მთავარია გაცოცხლდა ქუჩები და სკვერები, აივსო ხალხით. ლაღად ათამაშდნენ ფეხბურთელები სტადიონებზე. აქამდე, რომ საცოდავად დალასლასებდნენ ცარიელი ტრიბუნების შემყურენი. მიყვარს ფეხბურთი, ღამეებს ვუთევ ხოლმე ჩემპიონთა ლიგის მატჩებს და გადაჭედილ სტადიონებს, რომ ვხედავ მიხარია.

მიხარია, რომ გაბედულად ვესალმები და ვართმევ ხელს კაცს, აქამდე რომ მეკითხებოდა მისალმებისას რომელი ხარ, ვერ გიცანი პირბადეშიო... რომელი ერთი ჩამოვთვალო.

მაინც სადა ვართ დღეს? დავემშვიდობოთ საბოლოოდ „კოვიდ-19"-ს და ჩავთვალოთ რომ დიდმა ჭირმა უკვე გადაიარა, თუ... ამასთან დაკავშირებით მოვუსმინოთ მაღალი დონის მედიკოსებს, მათ, ვინც მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ნარმართავდა პანდემიის პრევენციის ღონისძიებებს და რომელთა მითითებების შესრულება თითოეული ჩვენთაგანისათვის სავალდებულო იყო.

როგორც ისინი ამბობენ ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელება შეჩერებელია. შეიძლება კორონავირუსის ქვეშტამი გამოჩნდეს, მაგრამ ის არ იქნება საშიში.

მართალია, კორონავირუსით დაავადების შემთხვევები მცირე რაოდენობით კვლავ ფიქსირდება, მაგრამ როგორც ჯანდაცვის მინისტრი პირადად გვარწმუნებს, ისინი ყოველმხრივ მზად არიან ჩვენი ჯანმრთელობის დასაცავად.

რა იქნება ხვალ დაიმედებით ვერავინ იტყვის, მით უფრო, რომ მთლიანად მსოფლიოში პანდემიით კვლავ არაერთი ქვეყანა იტანჯება. მაგალითად ჩინეთში ამას ნინათ მთელ რიგ პროვინციებში ლოკდაუნი გამოაცხადეს, მძიმე ვითარებაა ჩრდილოეთ კორეაში. ევროპაში მაიმუნის ყვავილის ასი შემთხვევა დაფიქსირებულა და ჯანმო სასწრაფო სხდომას იწვევს...

ამიტომ. როგორც ნათქვამია სიფრთხილეს თავი არ სტკივაო, ჩვენც უნდა გავფრთხილდეთ და ის მინიმალური მაინც დავიცვათ ზუსტად, რასაც მოგვიწოდებენ.

ი. ერაძე

სულ სხვადასხვა

ჩაავლეთ თვალი, რას კარგავთ...

მარწყვი—ეს ბალახოვანი მცენარე ბევრი ოჯახის ბოსტან-ბაღჩას ამშვენებს. მისი ტკბილი ნაყოფი სასიამოვნო საჭმელია, მურაბა ხომ არის და არის...

მარწყვის ირგვლივ დათესილი ოხრახუში იცავს მას ჭიანჭველებისაგან, ხოლო ნიორი სიდამპლისაგან.

—ძველი ბერძნები გვაწვდიან ხმას: „ღვინო მამაკაცის სისხლია".

—ნიახურს მორწყვა უყვარს. თუ წყლის მარაგი „მოწუწკულად" გაქვთ, ოხრახუშთან და ქინძთან შედარებით მაცოცხლებელი სითხე ოდნავ მეტი ნიახურს უწილადეთ.

—გინდ დაიჯერეთ, გინდა არა—თურმე მტაცებელი ცხოველებიდან ლომს ყველაზე პატარა გული ჰქონია.

—ხილი და ბოსტნეული, აგერ, შენს ეზოში შენი ხელით მოწეული ლოყანითელი ვაშლი და ატამი მაინც უნდა გარეცხოთ და ისე მიირთვათ.

—ზღვის წავი საკვების მოსაპოვებლად 17 მეტრამდე ყვინთავს, იპოვის თუ არა მოლუსკს, მასთან ერთად ფსკერიდან ამოაქვს ქვაც, ნვება გულაღმა, ქვას იდებს მკერდზე. ზედ წინა თათს ურტყამს ნიჟარას და მოხერხებულად ტეხს...

—კიტრის, კვახის, ნესვის ფოთლებზე თუ ბაც, ნაცრისფერ ლაქებს შენიშნავთ 0,5%-იანი კოლოიდური გოგირდი შეასხურეთ.

_კოჟრი—სააფთიაქო ქსელში მის მოსაშორებლად თანამედროვე სამედიცინო საშუალებებს შემოგთავაზებენ.

არსებობს სხვა „საშინაო" წესიც: ძილის წინ ფეხი თბილ წყალში ჩაილბეთ და კოჟრზე დაიდეთ ლიმონის ქერქი. პროცედურა გაიმეორეთ 2-3 დღე. მეოთხე დღეს წყალს მარილი დაუმატეთ. ფეხი შიგ ჩაყავით და კოჟრი ფრთხილად მოიშორეთ. შემდეგ კრემი წაისვით.

ლიმონის ნაცვლად შეიძლება გამოიყენოთ დანაყილი ნიორი.

ჟენია ბოჭორიშვილი

ტკივილი

დიდი ტკივილი მოგვაყენა ჩვენი რედაქციის ყოფილი ღვაწლმოსილი თანამშრომლის ჟენია ბოჭორიშვილის გარდაცვალებამ.

თერჯოლის საზოგადებას, მასზედ მზრუნველ საყვარელ ძმიშვილებს და ყველა ახლობელს ვუზიარებთ ჩვენს საწუხარს ძვირფასი ადამიანის დაღუპვის გამო.

„ჩვენი ჟენია"—(ასე ვეძახდით მას) გამორჩეული იყო თავისი სიჩუმით, კეთილშობილებით, მინდობილი საქმისადმი საოცარი პასუხისმგებლობითა და პროფესიონალიზმით. ამასთან ერთად ის იყო ადამიანური ღირებულებებით უხვად დაჯილდოებული, გულწრფელი და მართალი...

ათეულ ნლობით გვჩუქნიდა ადამიანურ სითბოს...

გვაბედნიერებდა, რომ იყო ადამიანი, რომელთან სიახლოვე გარკვეულნილად გვიიოლებდა გაზეთის მკეთებელი ხალხის მძიმე ხვედრს.

ჟენია მადლობას გიხდით ამ ყველაფრისათვის, და არა მხოლოდ ჩვენ, რედაქციელები, არამედ მკითხველები, შენი ახლო თერჯოლელი მეზობლები და მეგობრები...

გულწრფელად ვუსამძიმრებთ შენს ოჯახს, ახლობლებს. ვუსამძიმრებთ ყველას, ასე რომ დაამწუხრა შენმა ამ სოფლიდან წასვლამ.

ჟენია ბოჭორიშვილი—გვტკივა ეს სახელი!

ჯვარი ენეროს.

უფალი არ მოგაკლებთ თავის შემნეობას.

გაზეთი „თერჯოლა"

ნუგზარ აბულაძე

წლები გარბიან, ხსოვნა რჩება...

და... კიდევ რჩება ტკივილიანი მოგონება.

ძალიან ადრე წახვედი. დააკლდი ოჯახს, საზოგადოებას, ჩვენს სამეგობროს. ბევრი შინა თუ გარე საქმე დაგირჩა გასაკეთებელი...

სულ ჩქარობდი, სულ საქმეში იყავი ჩართული, ყველაფერს ასწრებდი. ჩვენთვისაც იცლიდი. ჩვენთვისაც იტოვებდი დროს... სიცოცხლის ხანმოკლე მონაკვეთში მოასნარი ყოფილყავი შენივე სოფლის თავკაციც, რაიონული მმართველი სტრუქტურების პასუხისმგებელი მუშაკიც...

ყველგან ავლენდი შენს უნარსა და შესაძლებლობებს.

უფლისგან დალოცვილი ოჯახი ნაადრევად დატოვე. მეულლე ქალბატონი მზია შვილშვილიშვილები ტკივილით, მაგრამ მხნედ აგრძელებენ შენი ლამაზი ოჯახის ტრადიციებს.

12 ივლისი—პეტრეპავლობა შენი დაბადების დღეა,ნათელში გამყოფოს, გვახსოვხარ, გვენანები...

მეგობრები

თერჯოლელი მეზობლები და მეგობრები ტკივილით იუწყებიან, რომ 79 ნლის ასაკში გარდაიცვალა

ჟენია ბოჭორიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

თერჯოლის №3 საბავშვო ბაგა-ბაღის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ დარეჯან და რამაზ რობაქიძეებს დედის და დედამთილის

ეთერ ზარაძის

გარდაცვალების გამო.

თერჯოლის №3 საბავშვო ბაგა-ბაღის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ იზო და დემურ ზარნაძეებს რძლის

აზა სხილაძის

გარდაცვალების გამო.

ნინი წივწივაძე გოგონათა შორის ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე პირველი თერჯოლელია!

ნინიმ ეს უფლება მის მიერ წარმატებით ჩატარებული ტურნირების შედეგებით მოიპოვა. მკითხველს შევახსენებთ, რომ იგი საქართველოს ორგზის ჩემპიონი და ოთხგზის პრიზიორია—ბლიცში, რაპიდსა და კლასიკურ ჭადრაკში, არის მრავალი სხვადასხვა ტურნირის გამარჯვებული და პრიზიორი.

წარმატებას ვუსურვებთ ნინის და მის მწვრთნელს გია ჭუმბურიძეს საერთაშორისო ასპარეზზე! ამ წარმატებას ვულოცავთ თერჯოლის საჭადრაკო სკოლას, ჭადრაკის ყველა მოყვარულს, ყველა თერჯოლელს!

საქართველოს სამოყვარულო საფეხბურთო ჩემპიონატის („მოყვარულთა ლიგა“) 2022 წლის სეზონი გრძელდება

მკითხველისათვის ცნობილია, რომ „მოყვარულთა ლიგა“ არის ოფიციალური სამოყვარულო საფეხბურთო ჩემპიონატი, რომლის ორგანიზებასაც ანხორციელებს საქართველოს სამოყვარულო ფეხბურთის ასოციაცია, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად.

ჩემპიონატის მიზანია ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და პოპულარიზაცია საზოგადოებაში; ფეხბურთის მასობრიობა; სპორტული ინფრასტრუქტურის აღდგენა; ახალგაზრდებისა და ვეტერანი სპორტსმენების ჩართულობა; ფეხბურთის, როგორც სოციალური მოვლენის დამკვიდრება ქვეყნის მასშტაბით.

პროექტის ფარგლებში, თერჯოლის ცენტრალურ სტადიონზე ერთმანეთს სოფელ ბარდუბნისა და ენრის, ასევე ძევრისა და ალისუბნის გუნდები დაუპირისპირდნენ.

საფეხბურთო მატჩს მუნიციპალიტეტის მერი, ლაშა გოგიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე, გიორგი ბარათაშვილი, ასევე მერის მოადგილები, მანუჩარ რობაქიძე და მირზა ქოჩიაშვილი ესწრებოდნენ.

საფეხბურთო მატჩები სოფელ ენრისა და ძევრის, ასევე ქვედა სიმონეთისა და სიქთარვის მოყვარულთა საფეხბურთო გუნდების გამარჯვებით დასრულდა.

თერჯოლის მუნიციპალური ეტაპის მატჩები პერიოდულად გაიმართება თერჯოლის ცენტრალურ სტადიონზე, სადაც მონაწილეობას საერთო ჯამში 15 სამოყვარულო საფეხბურთო გუნდი მიიღებს. საქართველოს მუნიციპალიტეტის საუკეთესო სამოყვარულო საფეხბურთო გუნდები, შესაბამის რეგიონულ ლიგებში ითამაშებენ.

მიმდინარე საფეხბურთო მატჩებს ორგანიზებას, თერჯოლაში მოყვარულთა ლიგის წარმომადგენელი, ლუკა თურქაძე უნევს.

პროექტის პარტნიორები არიან საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ნორჩი მოჭადრაკეები წინ მიიწევენ...

მიმდინარე წელს (27 ივნისი—3 ივლისი) ქ. ქუთაისში გაიმართა იმერეთის ღია საკვალიფიკაციო ტურნირი ჭადრაკში, სადაც წარმატებით იასპარეზეს თერჯოლის სპორტული სკოლის აღსაზრდელებმა.

მეოთხე თანრიგოსან ჭაბუკთა შორის 7 შესაძლებლობიდან 6 ქულით პირველ-მეორე ადგილი გაიყო ქუთაისელ მოჭადრაკესთან ერთად და კოეფიციენტით ვიცე ჩემპიონი გახდა გიორგი ჯიხვაშვილი.

მეხუთე თანრიგოსან ჭაბუკთა შორის მესამე ადგილზე გავიდა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა გიორგი ზაქარაშვილმა.

ქალ მოჭადრაკეთა შორის, სადაც ასაკი შეუზღუდავი იყო ხუთეულში მოხვდა ლიზი ჩუბინიძე. სამივე ბავშვი თერჯოლის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეები არიან.

ვულოცავთ ბავშვებს და მათ მწვრთნელს გია ჭუმბურიძეს ტურნირში წარმატებით გამოსვლას და ვუსურვებთ მომავალში საერთაშორისო კვარცხლბეკის დაპყრობას.

ტურნირის პრიზიორებს მიულოცეს და ჯილდოები გადასცეს საქართველოს პარლამენტში ქუთაისისა და თერჯოლა-ტყიბული-ბაღდათი-ზესტაფონის მაჟორიტარმა დეპუტატებმა **ზაზა ლომინაძემ** და **ბეჟან ნაქაძემ.**

ძიუდო, ქართული ჭიდაობა, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, თავისუფალი ჭიდაობა, სამბო, აკრობატიკა

ასპარეზობები გაიმართა მაის-ივნისში: თერჯოლის, ქუთაისის, ზესტაფონის, ხაშურის, ჭიათურის, ბაღდათისა და ბათუმის სპორტულ დარბაზებში.

პუბლიკაცია მომზადდა სპორტული სკოლის მთავარი სპეციალისტის **ელგუჯა გოგბერაშვილის** მიერ მოწოდებული ინფორმაციების მიხედვით.

წარმოგიდგენთ მწვრთნელებს, რომლებმაც გუნდები მოამზადეს ასპარეზობისათვის: მოჭიდავეები: ლერი რობაქიძე, ზურაბ ჩაფიჩაძე, გრიგოლ მამრიკიშვილი, კახაბერ მაკარიძე, დიმიტრი გურგენიძე, ბექა მაკარიძე, მალხაზ თურქაძე, ონისე ბოჭორიშვილი, ლერი ჯიხვაშვილი, გიორგი კირკიტაძე, დიმიტრი რობაქიძე, შაქრო ბოჭორიშვილი, სპორტული აკრობატიკა: ლალი დიაკონიძე, გიგა ჩაფიძე.

დავიწყებთ თერჯოლის სპორტის სასახლეში ჩატარებული საქართველოს დამსახურებილი მწვრთნელების ლევან და შოთა ქავთარაძეების ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირით, რომელშიც მასპინძლებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს: ქუთაისის, ფოთის, ხელვაჩაურის, ოზურგეთის, ბათუმის, ხობის, ლანჩხუთის, ბაღდათის, წყალტუბოს, ზესტაფონისა და ხაშურის 300-მდე სპორტსმენმა.

აღლუმის მონაწილეებს მიესალმა და მომავალი წარმატებები უსურვა მუნიციპალიტეტის მერმა ბატონმა ლაშა გოგიაშვილმა. მისმა და თანმხლებ პირთა სტუმრობამ მოტივაცია შემატა ტურნირის მონაწილეთ. განსაკუთრებით იყოჩაღეს ჩვენმა ბიჭებმა: გაბრიელ სოფრომაძემ, გაბრიელ მაკარიძემ, მათე ნიკოლაძემ, ლუკა მაჭავარიანმა, გოჩა, გიორგი და გაბრიელ ნიკოლაძეებმა, გიორგი თორთლაძემ, გაგა ჭეიშვილმა, გიორგი ხაცეკვაძემ, საბა რობაქიძე, გოგა მაჭარაშვილმა და სხვებმა. ყოველ მათგანს გააჩნია პოტენციალი, რომ ახლო მომავალში სპორტული გამარჯვებები იზეიმონ...

შემდეგი იყო ჭიათურა, სადაც თავი გიორგი თორთლაძემ გამოიჩინა. მცხეთაში წარმატებით იჭიდავა ზურაბ გავაშელაშვილმა. ქუთაისში ვერცხლის მედლები გიორგი თორთლაძემ და გიორგი აბჟანდაძემ აიღეს.

ბაღდათში მარი რობაქიძე მესამე პრიზიორი გახდა.

ბათუმში აკრობატებმა ნიკა ბუცხრიკიძემ და ლუკა ტყავაძემ გვასახელეს—მათ პირველობა არავის დაუთმეს. წარმატებული გამოსვლები პქონდათ ირინა გენაძესა და ანი ქოჩიაშვილს, ასევე ანანო გაფრინდაშვილს, ანასტასია ჩუბინიძისა და ბარბარე ზარნაძეს.

შერეულ წყვილებში მეორე პრიზიორები გაბრიელ გენაძე და მართა აბულაძე გახდნენ.

გოგონათა სამეული ნინი სახელაშვილის, მარიამ მოდებაძისა და ბარბარე მარუაშვილის შემადგენლობით მესამე საპრიზო ადგილზე გამოვიდა.

თერჯოლის სპორტის სასახლემ ამჯერად ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონის მიშიკო აბაშიძის ხსოვნის ტურნირს უმასპინძლა ჭიდაობა სამბოში. აქ თერჯოლის, ზესტაფონის, ქუთაისის 2, ტყიბულის, ხაშურის, ვანის, წყალტუბოს ორასამდე სპორტსმენი ცდიდა მუხლის ძალას.

ნიკოლოზ რობაქიძე, ზურაბ ბოჭორიშვილი, მირიან გამეზარდაშვილი, მიხეილ სახეჩიძე, საბა სულამანიძე, სანდრო ობოლაძე, გიორგი კუბლაშვილი, იოსებ კუბლაშვილი, ვასო ობოლაძე, ტარიელ გამეზარდაშვილი, ვასო უკლება, ნიკა ბრეგვაძე, ნიკა ჯანგიანი, გიორგი ლომიტაშვილი, თაზო ჭანტურიძე ის სპორტსმენები არიან სხვადასხვა წონით კატეგორიებში საპრიზო ადგილები რომ დაიკავეს.

ვულოცავთ ყოველ მათგანს დამსახურებულ ჯილდოს. უმრავლოთ ოქრო და ვერცხლი, თუნდაც ბრინჯაო. მთავარი ჯილდო სამშობლოს დიდებაა. ედიდებინოთ, ესახელებინოთ დედა სამშობლო ეს არის მთავარი, რისი იმედიც გვაქვს.

შპს „თერჯოლა“

გამომცემელი
ვალერიან გოგიაშვილი
599 92 49 75

მთავარი რედაქტორი
დავით კლდიაშვილი
599 91 24 14

სარედაქციო კოლეგია

რეგისტრაციის №53/5/ბ-22

გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ნ. გამყრელიძე—555 78 08 55
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჯ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41

ელ-ფოსტა: **gazetiterjola@mail.ru**

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში

მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის
შპს „ჰომელი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872